გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 79

2025 წლის 13 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (ს/კ 418478034) 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში, რომლის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს (ს/კ 418478034) 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით საქმიანობის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით საქმიანობის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო

ქ.გორი. შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ. ტელ.(+995)595-33-55-08 E-mail. Shidaqartlidogs@gmail.com

N55 23 მაისი 2025 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2025 წლის 14 მაისის #21-21251341 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2024 წლის წლიური და 2025 წლის 1 იანვრიდან 22 მაისის ჩათვლით საქმიანობის ფინანსურ ანგარიშს.

დანართი 3 ფურცელი

პატივისცემით
სააგენტოს დირექტორი ბაქარი გიუნაშვილი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს საქმიანობის ფინანსური ანგარიში

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 244 533 ლარს.

სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 52 კაცს, აქედან 11 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 41 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გახარჯულია 1 243 598 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება - 202668 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 624035 ლარი;
- თანამშრომელზე გაცემული დანამატი მოვალეობის შესრულება და პრემია - 19296 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 390 ლარი;
- ოფისის ხარჯი - 115 306 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 47 726 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 35 736 ლარი;
- ცხოველთა კვების ხარჯი – 34 960 ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 70 470 ლარი;
- უნიფორმის ხარჯი - 8474 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 38 423 ლარი;
- ბიულეტინი - 1632 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 43 545 ლარი.
- მოსაკრებლები - 937 ლარი.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან და მათ აიპებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მიუსაფარი შინაური ცხოველების კასტრაცია/სტერილიზაციიდან შეადგინა 49 700 ლარი, კერძოდ ხელშეკრულებები გაფორმდა: ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია - 60 ძაღლი, ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი - 29 ძაღლი, სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო - 95 ძაღლი, ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა - 99 ძაღლი, ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა - 70 ძაღლი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია - 95 ძაღლი, ა(ა)იპ ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი - 95 ძაღლი.

სულ საერთო ჯამში სააგენტოს ფუნქციონირების, სხვადასხვა საჭიროებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა 104 ხელშეკრულება საერთო თანხით - 383 217 ლარი, მათგან გამარტივებული შესყიდვის წესით, მონეტარული ზღვრის დაცვით სააგენტომ გააფორმა 59 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით 37, ხოლო ელექტრონული ტენდერის მეშვეობით 8 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და შესყიდვის ტიპებია.

2024 წელს საერთო ჯამში გამოცხადდა 8 NAT ტიპის ღია, ელექტრონული ტენდერი:

- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240004446**, შესყიდვის ობიექტი მედიკამენტი „ბიოკანი", (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) რომელიც გამოიყენება ცხოველთა ანტირაბიული ვაქცინაციისათვის. შესყიდვის ღირებულებაა 6600 ლარი.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240005169**, შესყიდვის ობიექტი მედიკამენტი „კეტამინი", (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) რომელიც გამოიყენება ცხოველთა ანესთეზიისთვის კასტრაცია/სტერილიზაციის ოპერაციის დროს. შესყიდვის ღირებულებაა 3600

ლარი.

- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240016431**, შესყიდვის ობიექტია ძაღლის მშრალი და დაკონსერვებული საკვები, (15700000 - ცხოველის საკვები) რომლის ღირებულება შეადგენს 27 850 ლარს.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240009624** შესყიდვის ობიექტია სააგენტოს სკრინინგისა და სკოპინგის მისაღბად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა (71600000 - ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები) როგორიცაა: ღირებულება შეადგენს 39 640ლარს.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240006745** შესყიდვის ობიექტია სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვა (33100000 - სამედიცინო მოწყობილობები) როგორიცაა: სკალპელები და დანის პირები, ჭრილობის გასაკერი საშუალებები, სამედიცინო უნიფორმა, ტენდერით შეძენილი საქონლის ღირებულება შეადგენს 14 909 ლარს.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, **NAT240005322** შესყიდვის კონკრეტული ობიექტია ვეტერინარული დანიშნულების მედიკამენტები (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები), რომლის საერთო ღირებულებაა 25 600 ლარი.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240011846**, შესყიდვის ობიექტი მედიკამენტი „თიოპენტალ ვუაბი", (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) რომელიც გამოიყენება ცხოველთა დასაძინებლად. შესყიდვის ღირებულებაა 6500 ლარი.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT240012879**, შესყიდვის ობიექტი ავტომანქანა 1 ერთეული, (34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები). შესყიდვის ღირებულებაა 38 890 ლარი.

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 314 593 ლარს.

სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 52 კაცს, აქედან 11 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 41 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2025 წლის 1 იანვრიდან 22 მაისის ჩათვლით გახარჯულია 527 020 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება - 97 744 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 285 863 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 300 ლარი;
- ოფისის ხარჯი - 73 488 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 16 725 ლარი;
- · ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 18 048 ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 22 276 ლარი;
- უნიფორმის ხარჯი - 8100 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 2900 ლარი;
- ბიულეტინი - 1394 ლარი;
- მოსაკრებლები - 182 ლარი.

2025 წლის 1 იანვრიდან 22 მაისის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან და მათ აიპებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მიუსაფარი შინაური ცხოველების

კასტრაცია/სტერილიზაციიდან შეადგინა 10474 ლარი, კერძოდ ხელშეკრულებები გაფორმდა: ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა - 99 ძაღლი, ა(ა)იპ ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი - 50 ძაღლი. ამასთან სააგენტოს მიერ მოსახლეობისთვის საკუთარი ცხოველებისთვის უფასო კასტრაცია/სტერილიზაციის აქციის ფარგლებში მხოლდ ჩიპის - 19 ლარი - ღირებულებიდან შემოვიდა 1012 ლარი.

სულ საერთო ჯამში სააგენტოს ფუნქციონირების, სხვადასხვა საჭიროებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა 58 ხელშეკრულება საერთო თანხით - 199 691 ლარი, მათგან გამარტივებული შესყიდვის წესით, მონეტარული ზღვრის დაცვით სააგენტომ გააფორმა 32 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით 23, ხოლო ელექტრონული ტენდერის მეშვეობით 4 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და შესყიდვის ტიპებია.

2025 წლის 1 იანვრიდან 22 მაისის ჩათვლით საერთო ჯამში გამოცხადდა 4 NAT ტიპის ღია, ელექტრონული ტენდერი:

- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT250005685** შესყიდვის ობიექტია სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვა (33100000 - სამედიცინო მოწყობილობები) როგორიცაა: სკალპელები და დანის პირები, ჭრილობის გასაკერი საშუალებები, სამედიცინო უნიფორმა, ტენდერით შეძენილი საქონლის ღირებულება შეადგენს 13 579 ლარს.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, **NAT250005574** შესყიდვის კონკრეტული ობიექტია ვეტერინარული დანიშნულების მედიკამენტები (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები), რომლის საერთო ღირებულებაა 24 280 ლარი.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT250008663**, შესყიდვის ობიექტია ჭირის ლეიშმანიოზისა და ტკიპის გადატანილ დაავადებათა კვლევის სწრაფი ტესტები, (33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები). შესყიდვის ღირებულებაა 4050 ლარი.
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT250005471**, შესყიდვის ობიექტი სააგენტოს ბალანსზე მყოფი ავტომანქანების რემონტის შესყიდვა (50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება). შესყიდვის ღირებულებაა 30 000 ლარი.